



თარგმანი ინგლისურიდან

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ
მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო

საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის სექტემბერი - ნოემბერი

ანგარიშში ასახულია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2017 წლის სექტემბერი -
ნოემბრის პერიოდში განხორციელებული საქმიანობის ძირითადი ასპექტები

საფუძვლები

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო (ქსს) წარმოადგენს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული ტუბერკულოზისა და აივ/შიდსის პროგრამების განხორციელების ცენტრალურ მექანიზმს. ქსს წარმოადგენს მრავალსექტორულ პლატფორმას ქვეყნის მიერ პროგრამებზე პასუხისმგებლობისთვის, აივ-ის და ტუბერკულოზის პოლიტიკისა და პროგრამული საკითხების გარშემო ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო თავის შემადგენლობაში აერთიანებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებს, მათ შორისაა სამთავრობო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მულტი- და ბილატერალური პარტნიორები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ბიზნესის წარმომადგენლები, დაავადებით დაზარალებული პირები და პაციენტები. ქსს-ს საქმიანობა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის დადგენილებით და 2015 წლის 1 ივნისის ქსს-ს სახელმძღვანელო დოკუმენტით.

საზედამხედველო საქმიანობა/ ქსს-ს სხდომები

2017 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა აივ გრანტის მე-4 პერიოდის და ტუბერკულოზის გრანტის მე-2 პერიოდის დეშბორდები. 17 ნოემბერს საზედამხედველო კომიტეტის

წევრებმა მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში გლობალური ფონდის კონსულტანტებთან. მისიის მიზანი იყო თბილისსა და ბათუმში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისათვის და მსმ-ებისათვის მიწოდებული პრევენციული სერვისების შეფასება. 9 ნოემბერს გაიმართა სახედამხედველო კომიტეტის წევრების და გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის, ქ-ნი ქ-ნ გიონგივერ ჯაკაბის შეხვედრა.

ქსს-ს სხდომები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა ქსს-ს ერთი სხდომა (ქსს-ს 88-ე სხდომა, 2017 წლის 24 ნოემბერი). წარდგენილ იქნა პროგრამების განხორციელების სტატუსი, მათ შორის დაგეგმილი რეალოკაციის/რეპროგრამირების აქტივობები. გადაწყდა განაცხადი პროგრამის გაგრძელების შესახებ წარედგინოს გლობალურ ფონდს მე-6 ფანჯრის ფარგლებში - 2018 წლის 6 აგვისტოს. პროფესორმა თენგიზ ცერცვაძემ წარადგინა ახალი ინიციატივა სახელწოდებით „დავასრულოთ შიდსის ეპიდემია საქართველოში“; გადაწყდა, რომ ამჟამინდელი ძირითადი მიმდებარების ხელახალი არჩევის საკითხი დადგება ელექტრონულ კენჭისყრაზე „საწინააღმდეგო მოსაზრების არარსებობის“ ფორმატში; EHG კონსულტანტებმა წარადგინეს ქსს-ს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის მონახაზი; განხილულ იქნა GIZ-დან ტექნიკური დახმარების მიღების შესაძლებლობის საკითხი; გადაწყდა მოხდეს ორი დელეგატის ნომინირება აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის წარმომადგენლობაში (ერთი - არასამთავრობო სექტორიდან, ერთი - სამთავრობო სექტორიდან); განხილულ იქნა ქცევის კოდექსის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, გადაწყდა, რომ კომენტარების მიწოდება სამდივნოსათვის მოხდება ელექტრონულ ფორმატში.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა/ქსს-ს ევოლუცია/პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

კონსულტაციები EHG კონსულტანტებთან მიმდინარეობდა უწყვეტ რეჟიმში. პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის (პასკ) #12 სხდომა გაიმართა 2017 წლის 22 ნოემბერს. სხდომის ამოცანას წარმოადგენდა შეხვედრა EHG-ის კონსულტანტებთან ქსს გარდამავალი გეგმის სამუშაო ვერსიის განსახილველად. 2017 წლის 24 ნოემბერს, ქსს-ს 88-ე სხდომაზე EHG კონსულტანტების მიერ წარმოდგენილ იქნა გეგმის სამუშაო ვერსიის მონახაზი და მნიშვნელოვანი ასპექტები. გეგმის სამუშაო ვერსია მიეწოდა პასკ-ს კომენტარებისთვის (საბოლოო ვადა - 2017 წლის 8 დეკემბერი). კონსოლიდირებული კომენტარი გაეგზავნა კონსულტანტებს გეგმის გადახედვისთვის. პასკ-ის და ქსს-ს წევრებს მიეწოდათ გლობალური ფონდის საკოორდინაციო საბჭოების Hub-ის მიერ შემუშავებული კითხვარი. კითხვარი მოიცავდა საკითხებს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს არსებული მოდელის ფუნქციონირების შესახებ და იმის შესახებ თუ რა უნდა გაითვალისწინოს გლობალურმა ფონდმა საკოორდინაციო საბჭოების მოდიფიცირების პროცესში მათი უფრო ეფექტურად ოპერირების მიზნით. საბჭოს წევრების კონსოლიდირებული კომენტარები მიეწოდა გლობალურ ფონდს 2017 წლის 15 სექტემბერს.

დაფინანსების მოთხოვნის შემუშავება/პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი

2017 წლის 22 სექტემბერს გაიმართა პროგრამების გაგრძელების მოთხოვნების შემუშავების დაგეგმისათვის მიმდინარე შეხვედრა. შემუშავდა სამუშაო გეგმა. დაფინანსების მოთხოვნების ღია და გამჭვირვალე ფორმატში შემუშავების და პროცესში ძირითადი დაზარალებული და მოწყვლადი ჯგუფების სრულყოფილი მონაწილეობის მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად, ქსს-ს 87-ე სხდომის გადაწყვეტილების თანახმად პასკ-ის შემადგენლობის გაფართოვდა. კომიტეტის შემდგენლბას დაემატა ექვსი ახალი წევრი. 2017 წლის 7 ნოემბერს პასკ-ის წევრები შეხვდნენ გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერს პროგრამების გაგრძელების მოთხოვნების შემუშავების პროცესის განსახილველად.

ტუბერკულოზის სფეროში კლინიკური კვლევების კოორდინაციის ჯგუფი

ანგარიშების პერიოდში არ გამართულა ჯგუფის შეხვედრა. ტუბერკულოზის სფეროში მიმდინარე და დაგეგმილი კლინიკური კვლევების მიმდინარე სტატუსის ყოვლისმომცველი ანგარიში მომზადდა და მიეწოდა სამდივნოს ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის მიერ.

გლობალური ფონდის ვიზიტი საქართველოში

6-12 ნოემბერს განხორციელდა გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის, ქ-ნი გიონგივერ ჯაკაბის ვიზიტი საქართველოში. მისიის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ქსს-ს თავმჯდომარესთან, პასკ-ის თავმჯდომარესთან, დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ძირითად მიმღებთან, დაფინანსების ადგილობრივ სააგენტოსთან (LFA), პასკ-თან, საზედამხედველო კომიტეტთან, ქსს-ს წევრებთან. ჩატარდა ვიზიტები პროგრამების განხორციელების ადგილებზე: ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა, თანასწორობის მოძრაობა (ადგილზე PReP-ის განხორციელების მიმდინარეობის შესასწავლად), MSM-ზე მიმართული გასვლითი სესია, ახალი ვექტორი, ტბ ამბულატორია, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკული ცენტრი. განხორციელდა ვიზიტი ზუგდიდში, სადაც მონახულებულ იქნა შემდეგი პროგრამების განხორციელების საიტები: ნემსების და შპრიცების პროგრამა, ტბ პროგრამა, ქალ სექს-მუშაკებზე მიმართული სერვისები, MSM-ზე მიმართული სერვისები.

გლობალური ფონდის გრანტები

გლობალური ფონდის გრანტების აქტივობები ძირითადად მიმდინარეობს დასახული გეგმის თანახმად. დაგეგმილი რეალოკაციის/რეპროგრამირების აქტივობები განხილულ იქნა ქსს-ს 88-ე სხდომაზე.

25 დეკემბერი, 2017 წელი

ანგარიში მოამზადა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ

ანგარიში ნათარგმნია ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ